მცირეფასიანი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები პირდაპირ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობის გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელმწიფო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსურ აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტორის პირობების დარღვევა;
- ზირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია ;
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო;

ფინანსური აქტივები რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივი საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდში არ შებრუნდება

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო

ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ნა ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რო არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე მოკლე პერიოდი განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისაგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული განსაზღვრული გადახდებით, მათ გარდა, რომლებიც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს, რომ ახლო მომავალში გაყიდოს. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანებები შედგება „სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა“ და „ფული და ფულის ეკვივალენტებისგან“, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით, ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით, ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდი განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებისგან და გადასახდელი ბრძელვადიანი სესხებისგან.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში, როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულებების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულებების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება მოგებასა და ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით, კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცემულობით, რა მოცემულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა, დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებისა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ცვეთის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

სასამართლო დავები

სასამართლო დავებიდან ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. სასამართლო დავის შედეგები დამოკიდებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობაზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურება

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ, დამდგარმა ერთმა ან მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულის ნაკადზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2018	218 674	927 453	570 970	7 388 474	71 427	526 579	2 606 966	562 333	12 872 876
შემოსვლა	117	21 450		1 720 894	9 772	110 174	1 236 988	-	3 099 396
გადაფასება									-
გასვლა	(2 343)	(800)		(621 956)		(25 024)	(136 688)		(786 811)
31 დეკემბერი 2019	216 448	948 103	570 970	8 487 413	81 199	611 729	3 707 266	562 333	15 185 460
ცვეთა და გაუფასურება									
დაგროვილი ცვეთა		(339 085)	(239 605)	(5 351 473)	(48 038)	(423 779)	(1 975 501)	(521 183)	(8 898 664)
პერიოდის ცვეთა		(31 413)	(16 568)	(625 924)	(5 178)	(37 590)	(362 117)	(8 230)	(1 087 021)
გასვლა							66 704		66 704
31 დეკემბერი 2019	-	(370 498)	(256 173)	(5 977 397)	(53 216)	(461 369)	(2 270 914)	(529 413)	(9 918 981)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2018	218 674	588 368	331 366	2 037 002	23 388	102 800	631 465	41 149	3 974 212
31 დეკემბერი 2019	216 448	577 605	314 797	2 510 016	27 983	150 360	1 436 352	32 919	5 266 480

6. მარაგები

2019 წელს დასრულდა მშენებლობა გასაყიდად გამოზნული შენობის დასრულება, შედეგად მოხდა დაუმთავრებელი წარმოებიდან მასალების რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებაზე.

- სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2019	01.01.2019
- საქონელი	1,259	1,259
- ნედლეული და მასალები	1,836,045	3,623
- დაუმთავრებელი წარმოება	-	566,368
- მზა პროდუქცია	22,295	1,350
-სხვა საწარმოო მარაგები	-	5,750
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,859,599	578,351

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.2019	01.01.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან ან მომსახურებიდან	3,712,268	3,095,757
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	173,677	1,979
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ აღსრულებაზე	1,234	3,879
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	3,977,763	3,972,269
მოთხოვნები პერსონალის მიმართ ჯანმრთელობაზე	8,131	2,697
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	414,648	3,976
სხვა დარიცხული მოთხოვნები	1,573,878	713,254
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1,023,657)	(1,023,657)
საგადასახადო აქტივი	218,842	
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9,056,783	6,770,155

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	31.12.2019	01.01.2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,472,756	2,921,550
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	62,848	345
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	4,535,604	2,921,895

9. კაპიტალი

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მიხედვით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 5265 ლარს.

10. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები	31.12.2019	01.01.2019
გრძელვადიანი სესხები	542,349	1,438,384
სულ მოკლევადიანი სესხები	542,349	1,438,384

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2019	01.01.2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,276,004	1,147,426
მიღებული ავანსები	7,407,661	4,303,064
გადასახდელი ხელფასი	138,320	151,906
სხვა ვალდებულებები	89,104	
ვალდებულებები საგარანტიო მომსახურებაზე	23,064	23,065
საგადასახადო ვალდებულებები		641,745
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8,934,153	6,267,206

12. საოპერაციო შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები	2019	2018
შემოსავლები შესრულებული სამუშაოდან	27,918,992	10,819,081
სულ საოპერაციო შემოსავლები	27,918,992	10,819,081

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
პერსონალის ხარჯი	2,102,552	1,128,970
იჯარის ხარჯი	131,491	124,256
სხვა საგადასახადო ხარჯი	5,406	59,839
საოფისე ინვენტარი	5,024	2,500
კომუნიკაციის ხარჯი	297,842	333,517
დაზღვევა	10,785	17,800
რემონტი	8,448	203
საკონსულტაციო ხარჯები	105,211	64,258
მივლინების ხარჯები	36,121	122,872

საქველმოქმედო ხარჯები	285	100
კომპიუტერის ხარჯი	1,231	2,304
სოციალური დანარიცხები	31,551	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,735,947	1,856,619

14. ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯები)

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	2019	2018
არასაოპერაციო შემოსავალი	35,228	764
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	35,228	764
არასაოპერაციო ხარჯები/საპროცენტო ხარჯი	(491,681)	(241,975)
სულ არასაოპერაციო ხარჯები	(491,681)	(241,975)
სულ ფინანსური ხარჯები	(456,454)	(241,211)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;

(დ) საზოგადოების, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. შპს „ცეკური“-ს და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ შპს „ცეკური“-ს დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში შპს „ცეკურის“ წილის ოდენობით და ამ შენიშვნაში ასეთი ტრანზაქციები არ არის წარმოდგენილი.

მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასებს 2019 წელს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებზე	3,977,763	2,102,595
გაცემული დივიდენდები	787,605	567,987

16. ფუნქციონირებადი საწარმო

მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლოეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

17. გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ სამ წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

ა) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

ბ) საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის № 1 დეკრეტის საფუძველზე საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, აღნიშნული დეკრეტის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“-ს შესახებ, აღნიშნულმა დადგენილებამ არ შეუზღუდა კომპანიას ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, თუმცა აღნიშნული დადგენილების სხვა შეზღუდვებმა და მსოფლიოს იმ ქვეყნების ეკონომიკის გაუარესებამ, რომლებთანაც საქართველოს აქვთ ურთიერთობა, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ვინაიდან ამ გაურკვეველი ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელობა ვერ გააკეთებს საიმედო შეფასებას იმ თანხების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნულ რეგულაციებში კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ცეკური“

მმართველობის ანგარიშგება

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს

საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ცეკური“-ს მმართველობის ანგარიშგება.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

3. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცეკური“, ს/კ 209442174, დარეგისტრირებულია საქართველოში, 1996 წლის 15 იანვარს. კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, თბილისი, ხიზაბავრის ქ.#47. მისი ძირითადი საქმიანობაა: საავტომობილო გზების და ავტობანების მშენებლობა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ: სერგო ხაბულიანი 3/წ 01008007541 -67,5% წილის მფლობელი და ბექა

ხაზულიანი პ/ნ 01025015588 -37,5% წილის მფლობელი. 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 5265 ლარს, შპს-ს აღმასრულებელი დირექტორია ბექა ხაზულიანი (პ/ნ 01025015588).

4. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის საქმიანობას თავიდანვე საავტომობილო გზების მშენებლობა წარმოადგენდა, განხორციელებული აქვს არაერთი საგზაო სამშენებლო პროექტი. კერძოდ 2019 წელს შეასრულა შიდასახელმწიფო მნიშვნელობის ნიჩბისი-დიდგორი თონეთის ს/გზის კმ.1-კმ.14,7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ცაგერის რაიონში ხვამლის ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან მისასვლელი არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ.თბილისში საბურთალოს რ-ნის ტერიტორიაზე ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. ამავე წელს დაიწყო გარდამავალი ობიექტების- ბარისახო-შატილის ს/გზის კმ.63-კმ.75 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები და წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის ს/გზის კმ.125-კმ.137+330 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შპს „ცეკური“ გამოირჩევა მშენებლობის უმაღლესი ხარისხით, რის გამოც გვყავს ბევრი ერთგული მომხმარებელი.

შპს „ცეკური“ მშენებლობას ახორციელებს როგორც თბილისში ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში.

საქართველოში მშენებლობის სფეროს, ძირითადად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები არეგულირებს. კანონი განსაზღვრავს მშენებლობის უსაფრთხოების წესებს და სხვა მოთხოვნებს, მშენებლობის ნებართვის მიღების წესებს, მშენებლობის ეტაპების პროექტთან მკაცრ შესაბამისობას და კანონის

მოთხოვნების დარღვევისთვის დაწესებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა. ჩვენ სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ კანონმდებლობის მოთხოვნებს, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და მის დაქვემდებარებაში შემავალ სხვადასხვა სტრუქტურებთან, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელი ორგანო.

შპს „ცეკურს“ გააჩნია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიები #1002676 #მცხეთის რ-ნ სოფ. ძეგვში 56100 კუბ.მ ქვიშა-ხრემის საერთო მოპოვების უფლებით; #1000004 ლიცენზია კასპის რ-ნ სოფ. ხიდისყურში 64 350 კუბ.მ ქვიშა-ხრემის მოპოვების უფლებით და #10000868 ლიცენზია ლენტეხის რ-ნის სოფ. მახაშის ტერიტორიაზე 60540 კუბ. მ. ქვიშა-ხრემის მოპოვების უფლებით.

5. შიდა სტრუქტურა

ჩვენს კომპანიაში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება-მოვალეობები.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

ა) სერგო ხაბულიანი პ/ნ 01008007541

ბ) ბექა ხაბულიანი პ/ნ 01025015588

კომპანიას უშუალოდ მართავს აღმასრ. დირექტორი - ბექა ხაბულიანი პ/ნ 01025015588

მთავარი ბუღალტერი: ვალერიან დალაქიშვილი

იურისტი: ანი გოგოჩიშვილი

სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებელი: ვაჟა აბრამიშვილი

ტექნიკური ინჟინერი: თემური დგებუაძე

წარმოდგენილი გუნდი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში. დღეისათვის კომპანიაში 150- მდე ადამიანია დასაქმებული.

6. სამომავლო გეგმები

კომპანიას მოგებული აქვს ბარისახო-შატილის ს/გზის კმ.63-კმ.75 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი, რომელიც უნდა დასრულდეს 2020 წელს და წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის ს/გზის კმ.125-კმ.137+330 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი, რომლის დასრულების ვადაა 2021წელი.

ასევე კომპანია გეგმავს მიიღოს მონაწილეობა ანალოგიურ სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერებში.

7. რისკ-ფაქტორები

საკრედიტო და დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები: ჩვენი კომპანიის მთავარი რისკი დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკია. დებიტორული დავალიანების ამოღების ერთდერთ სამართლიან გზას წარმოადგენს სასამართლო დავა, მაგრამ გამომდინარე იქიდან რომ სასამართლო პროცესი როგორც წესი ხანგრძლივია, გრძელვადიან პერიოდში კომპანიისთვის მიუღებელი მოთხოვნები ზიანის მომტანია.

8. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა გლობალური მოვლენებმა გავლენა მოახდინა ყველა ინდუსტრიაზე, თუმცა ეს გავლენა ზოგიერთი კომპანიისთვის არის დადებითი, როგორიცაა მაგალითისთვის ტექნოლოგიურ რესურსებთან დაკავშირებული კომპანიები, რადგან მათზე მოთხოვნამ იმატა დისტანციური მუშაობის გამართულად და შეუფერხებლად მუშაობის

უზრუნველყოფის გამო, ასევე სუპერმაკეტები და სხვა სასურსათო მაღაზიები, მაგრამ სხვა სფეროში მომუშავე კომპანიების უმეტესობისთვის ეს გავლენა არის უარყოფითი. არც ჩვენი კომპანია დარჩა ამ პრობლემის მიღმა. COVID-19 მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი კომპანიისთვისაც. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე არსებულმა განუსაზღვრელობამ და არაპროგნოზირებამ გამოიწვია ახალი ისეთი რისკების წარმოქმნა, რომელიც არასოდეს ყოფილა ჩვენი კომპანიის რისკების სიაში, როგორიცაა პროექტების დაგვიანება, რომელიც არსებით გავლენას ახდენს და ამან შეიძლება გამოიწვიოს სხვა რისკი, როგორიცაა ფულადი ნაკადების პრობლემა, თუმცა ჯერჯერობით ეს არის მხოლოდ ერთ თვიანი დაგვიანება და არ მოახდენს არსებით გავლენას კომპანიის საქმიანობაზე.

როგორც ყველა ქვეყანა, საქართველოს მთავრობაც ცდილობს მაქსიმალურად შეამციროს პანდემიის გავლენის რისკი და ახორციელებს არაერთ ცვლილებებს, ხოლო კომპანიები თავის მხრივ ცდილობენ მოერგონ ამ ცვლილებებს და ამავდროულად მაქსიმალურად უპასუხონ ბაზრის გამოწვევებს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ყველა კომპანიისთვის არის სავალუტო რისკი, რომლის პროგნოზირება ძალიან რთულია და კიდევ უფრო ართულებს საქმეს ისეთი კომპანიებისთვის, როგორიც ჩვენი კომპანიაა, რადგან უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებული პროდუქტის დაახლოებითი წილი სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად შეადგენს 30%-ს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად რთულია ფასის განსაზღვრა, ვინაიდან ჩვენ ვახორციელებთ გრძელვადიან პროექტებს. საქართველოს მთავრობამ გარკვეული შეღავათი დააწესა იმ კომპანიებისთვის, რომლებზეც იმოქმედა ლარის გაუფასურებამ არსებულ პროექტებზე, თუმცა ასეთი შეღავათი არ მოქმედებს მომავალ ტენდერებზე და კომპანია ტენდერში მონაწილეობის დროს თუ გაითვალისწინებს სავალუტო რისკს, მისი ფასი კონკურენტუნარიანი ვეღარ იქნება.

მთავარი რისკი, რომელსაც ჩვენი კომპანია ხედავს, არის დამკვეთის მხრიდან შესრულებული სამუშაოს საზღაურის გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში. ჩვენი კომპანიის ძირითადი დამკვეთია სახელმწიფო და ჩვენ შესაძლოა დავდგეთ გადახდის რისკის წინაშე, რადგან სახელმწიფომ არსებული პანდემიის გამო გარკვეული რესურსები მიმართა პანდემიის რისკის შესამცირებლად და სოციალურ დახმარებებზე, ამიტომ ჩვენი ვარაუდით სახელმწიფოს მხრიდან შესაძლოა მოხდეს შესრულებულ სამუშაოზე დაგვიანებული გადახდები. ჩვენი კომპანია შეეცადა მაქსიმალურად შეეფასებინა ასეთი რისკი და ამ რისკის თავიდან ასაცილებლად, მოლაპარაკებებს აწარმოებს ბანკებთან, რათა სახელმწიფოს მხრიდან გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკმა დააფინანსოს პროექტი დროებით იმ ვადით, ვიდრე სახელმწიფოსგან მოხდება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. ეს რა თქმა უნდა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, რომელიც გავლენას მოახდენს კომპანიის მოგებაზე, თუმცა დღევანდელ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში უფრო მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის და თანამშრომლების შენარჩუნება, რომ მომავალში ამ კუთხით არ შეექმნას კომპანიას პრობლემები. ჩვენი ვარაუდით ასეთმა ხარჯმა შესაძლოა შეამციროს კომპანიის მოგება მაქსიმუმ 2%-ის ფარგლებში.

არსებულმა სიტუაციამ დადებითი გავლენაც მოხდინა კომპანიის საქმიანობაზე და საშუალება მოგვცა დაგვენახა, რომ ახალი ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით შესაძლებელია კომპანიის ეფექტური მუშაობა და ნაწილი თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმში გადაყვანა, რომელზეც ადრეც გვიფიქრია, თუმცა არაეფექტურად მუშაობის და კონტროლის რისკს ვხედავდით. დღეს პანდემიის რისკის მიუხედავად, ბევრი თანამშრომელი დატოვა კომპანიამ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რითაც კომპანია შეამცირებს ოფისის ხარჯებს, ხოლო თანამშრომლებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ ერთზე მეტი სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს

უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ექვსის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადექვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას,

აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - აღმასრულებელი დირექტორი

შპს “ცეკური”-ს

აღმასრ. დირექტორი:

ბექა ხაბულიანი


შპს "ცეკური"

მმართველობის ანგარიშგება

უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წელიწადი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - აღმასრულებელი დირექტორი

შპს "ცეკური"-ს

აღმასრ. დირექტორი



ზეზა ჩაბულიანი